ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #58

2 აპრილი, 2021 წელი
15:00 საათი
(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 2 აპრილს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. მიხეილ მესხი;
6. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. აქვე აღნიშნა რომ 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა და სიმბოლურია ის ცვლილებები რომელიც დღეს უნდა განხორციელდეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №3) კერძოდ, წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1230 ბენეფიციარი, წარმოდგენილი პროექტით კი დაემატა ბენეფიციარების ლიმიტის რაოდენობა და გაიზარდა 145 ერთეულით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტში ეთითება 1375 ბენეფიციარი, ნაცვლად 1230 ბენეფიციარისა.

ამასთან წესის მე-9 მუხლს ემატება მე-9 პუნქტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების/სპეციალისტების ჩართვისას სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია ქვეპროგრამით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

აქვე, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა, წარმოდგენილ პროექტში მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი ნაცვლად:

„9. დაწესებულების/სპეციალისტების ჩართვისას სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია ქვეპროგრამით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.“.

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დაწესებულების/სპეციალისტების ჩართვისას სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია დაწესებულების/სპეციალისტის მიერ ქვეპროგრამით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.“.

პროექტი ითვალისწინებს ზემოანიშნული ცვლილების ამოქმედებას 2021 წლის 1 აპრილიდან, რათა მიმწოდებლებმაც და ბენეფიციარებმაც მთლიანი თვის ათვისება მოახერხონ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა პროექტი წარმოდგენილი ცვლილებებით განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე